GEA GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

www.employer.ge

იანვარი, 2018

NEWSLETTER

- დუალური პროფესიული განათლების თემაზე ტრენინგი გაიმართა

- იაპონიის ელჩი საქართველოში ბიზნეს სექტორს შეხვდა

- ჩინეთის კონსული საქართველოს დამსქმებელთა ასოციაციაში იმყოფებოდა

- შრომის უსაფრთხოების თემაზე ტრენინგი გაიმართა

დუალური პროფესიული განათლების თემაზე ტრენინგი გაიმართა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიხსნა დუალური პროფესიული სწავლების ხუთდღიანი ტრენინგი ბიზნეს სექტორისა და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებისთვის, სახელწოდებით - „სკოლა, როგორც სწავლის ადგილი“ და „საწარმო, როგორც სწავლის ადგილი “.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მასშტაბის ღონისძიება დუალური პროფესიული განათლების მიმართულებით უპრეცედენტოა, რადგან მასში მონაწილეობს ბიზნეს სექტორი, საგანმანათლებლო დაწესებულებები, და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ტრენინგი მიზნად ისახავს, მონაწილეებმა მიიღონ შესაბამისი ცოდნა თავიანთ სამუშაო ადგილებზე (სკოლა, კოლეჯი, საწარმო) დუალური განათლების პროცესების წარმართვის შესაბამისად გარემოს მოწყობისთვის. ამასთან, გადამზადებული ინსტრუქტორები უნდა გაუძღვნენ დუალური განათლების პროცესებს სამუშო ადგილზე, იყვნენ ორიენტირებული საჭიროებებზე და მაღალკვალიფიციურ დონეზე უხელმძღვანელონ ტრენინგებს კომპანიებში.

მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას დუალური პროფესიული განათლების გერმანული პრაქტიკის შესახებ ქართულ სისტემასთან პარალელურ და შედარებით რეჟიმში.

ღონისძიება გახსნეს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ, განათლების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსმა ირინა წეროძემ და გერმანელი ექსპერტმა დირკ რონეკემ.

ტრენინგები პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში იმართება, რომელიც გერმანიის ხელისუფლების მხრიდან ფინანსდება და მას საქართველოში 2016 წლიდან საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ახორციელებს. პროექტის მიზანი საქართველოში შრომის ბაზრის განვითარებაა.

იაპონიის ელჩი საქართველოში ბიზნეს სექტორს შეხვდა

საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციისა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიები იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ტადაჰარუ უეჰარას და იაპონიის ელჩის მოადგილესა და მრჩეველს ტომონორი ჰასეგავას შეხვდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-იაპონიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და თებერვალ-მარტში საქართველოში იაპონიის ბიზნესის წარმომადგენლების სტუმრობისა და ქართულ მხარესთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების საკითხები განიხილეს.

იაპონიის ელჩმა საქართველოში აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე არსებული ეკონომიკური ურთიერთობები საკმაოდ მწირია და საჭიროა მისი გაღრმავება, რადგან საქართველოს აქვს ამის პოტენციალი. ისაუბრეს საქართველოში იაპონური ინვესტიციებისა და საექპორტო პროდუქტების შესახებ.

შეხვედრა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა და მას სხვადასხვა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჩინეთის კონსული საქართველოს დამსქმებელთა ასოციაციაში იმყოფებოდა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი პირები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს საკონსულს საქართველოი ვან ლიანპოს შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საქართველო-ჩიინეთს შორის გააქტიურებული სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების მიმოხილვა და ამ პროცესებში ასოციაციის წევრების როლი და შესაძლებლობები.

შეხვედრაზე დაანონსდა 2018 წლის ნოემბერში შანხაიში დაგეგმილი მეწარმეობის გამოფენა, რომელსაც საქართველოდან ექსპორტიორები მიიღებენ მონაწილეობას. ასევე, გაიმართება საქართველო-ჩინეთის ბიზნეს ფორუმი, რომელსაც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიები დაესწრებიან.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ამოქმედდა.

შედეგად, ქართული პროდუქციის 94% გათავისუფლდა საბაჟო გადასახადისგან; ამასთან, ქართულ სერვისსა და პროდუქციას გაეხსნა 1,4 მილიარდიანი ბაზარი. საექსპორტო პროდუქციას შორისაა ღვინო, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, წვენები, ბოსტნეული, ხილი, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, თევზი და სხვა ზღვის პროდუქტები, მარცვლეული, სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, ფეროსილიკომანგანუმი, ლოკომოტივები და ა.შ.

ამ ფონზე მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის გააქტიურება ბიზნეს პროცესების არეალის გაფართოებისათვის. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია შეინეთის საელჩოსთან აქტიური თანამშრომლობით ხელს უწყობს წევრი კომპანიებისათვის ამ შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას.

შრომის უსაფრთხოების თემაზე ტრენინგი გაიმართა

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების საკითხებზე კიდევ ერთ ტრენინგი გაიმართა. კერძოდ, თემატიკა ეხებოდა სახანძრო უსაფრთხოებასა და ხანძართან ბრძოლას.

ტრენინგს, რომელსაც 30 კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერები ესწრებოდა, უძღვებოდა ასოციაციის შრომის უსაფრთხოების ცენტრის ILO–ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) სერტიფიცირებული ტრენერი დავით ჩიჯავაძე.

ტრენინგი მიზნად ისახავდა კომპანიებისათვს სამუშაო ადგილზე არსებული სახანძრო საფრთხეების გამოვლენის შესწავლა. ასევე სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების იმ აუცილებელი ინსტრუქციებისა და პროცედურების შესწავლა, რომელიც უნდა ჰქონდეს შემუშავებული ნებისმიერ კომპანიას, მიუხედავად მისი სიდიდისა. ასეთი სისტემის გამოყენება საშუალებას იძლევა თავიდან აიცილოს კომპანიამ ის რისკები და საფრთხეები, რომლებიც შეიძლება ხანძრის შედეგებმა გამოიწვიოს. აღსანიშნავია, რომ სახანძრო უსაფრთხოების სისტემების დანერგვისა სწავლების მიზანია, დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და კომპანიის ქონების დაცვა.

ტრენინგის შემდეგ მონაწილეებმა უნდა შეძლონ სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დანერგვა და საევაკუაციო სქემების შემუშავება.

შრომის უსაფრთხოების თემაზე ტრენინგები და კონსულტაციების მოთხოვნა კომპანიების მხრიდან განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 2 მარტს მიიღო #81 დადგენილება რომლის მიხედვითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომლის მიზანია სამუშაო ადგილზე შრომის პირობების ინსპექტირება.

ამასთან, 2016 წელს დაიწყო ევროდირექტივების შესაბამისი რეგულაციების ადაპტირების პროცესი, რომლებიც ამოქმედდება შრომის უსაფრთხოების შესაბამისი კანონის მიღებასთან ერთად. აღნიშნული რეგულაციებით (სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის

მინიმალური მოთხოვნების შესახებ) მნიშვნელოვანი ადგილს იკავებს ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებები და სახანძრო უსაფრთხოების პირობები, ანალოგიური მოთხოვნებია გაწერილი საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული №370 დადგენილებით.

ყოველივე ამის ფონზე საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ბიზნეს სექტორს სთავაზობს შესაბამის კონსულტაციებს, ტრენინგებს, აუდიტებსა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, რათა პირველ რიგში, თავიდან აიცილონ მოსალოდნელი რისკები და ამასთანავე, მაქსიმალურად მომზადებული შეხვდნენ შრომის ინსპექციის შემოწმებას.

სახანძრო უსაფრთხოებისა და ხანძართან ბრძოლის შესახებ ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატი, რომელიც დამოწმებულია GEA-ს და ITC ILO-ს მიერ.

მსგავსი ტრენინგები სისტემატიურად იმართება დამსაქმებელთა ასოციაციაში, როგორც კორპორატიული დაკვეთით, ისე ჯგუფების ორგანიზებით.

0159, საქართველო, თბილისი,
ა. ბელიაშვილის ქ. #8

T: +995 32 2 14 73 73

M: +995 579 555 551

E: employer@employer.ge

www.employer.ge